

**როგორ იზომება სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი -  
გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა**

წლების განმავლობაში, სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად სასამართლოში საქმეთა განხილვის სტატისტიკა გამოიყენებოდა. 2013 წლამდე, მედიისთვის დახურული სასამართლო პროცესების ფონზე, საქმეთა განხილვის მაჩვენებლები, ქმნიდა ზოგად წარმოდგენას რამდენად თავისუფალი იყო სასამართლო სისტემა ხელისუფლების სხვა შტოების გავლენებისგან. სასამართლოზე გავლენების შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის მაჩვენებლებზე, მიღებულ გამამართლებელ და გამამტყუნებელ განაჩენებზე, მახვილდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენების რიცხვი მართლმსაჯულების სისტემის შეფასებისთვის, არასაკმარის და არასანდო მონაცემს წარმოადგენს, უკიდურესად დაბალი გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა, სისტემის სხვა გამოწვევებთან ერთად, თავისთავად ქმნიდა ავთენტურ სურათს სასამართლოს სისტემაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევების ხასიათი, მასშტაბები და ბუნება არსებითად შეცვლილია, სასამართლოს დამოუკიდებლობის დემონსტრირებისთვის ხშირად მიუთითებენ გამამართლებელი განაჩენების რიცხვის ზრდაზე. გამამართლებელი განაჩენების მკვეთრ ზრდას, ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც ვებგვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება.<sup>1</sup> 2010 წელთან შედარებით (8 გამართლებული), 2017 წელს დაახლოებით 30-ჯერ მეტი პირი გამართლდა (235 პირი).

სტატისტიკური მაჩვენებლების ცვლილებაზე განგრძობადი დაკვირვება მნიშვნელოვანია, თუმცა საჭიროა სტატისტიკა გააზრებული იყოს სხვა მონაცემებთან ერთად, რომლებიც კიდევ უფრო გამართული ინსტრუმენტების გამოყენებით არის დოკუმენტირებული. სხვა შემთხვევაში, სტატისტიკა გახდება შეცდომაში შემყვანი, როგორც თავად სასამართლო სისტემისთვის, ისე სასამართლოს რეფორმაზე მომუშავე ჯგუფებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკასთან ერთად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს შეფასებისას, საჭიროა ერთობლიობაში გაანალიზდეს:

- სისხლის სამართლის საქმეთა ზოგადი რაოდენობა, ზრდის/კლების მაჩვენებლები;
- აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა;
- საგამომიებო მოქმედებების “დაკანონების” პროცესი;
- საპროცესო შეთანხმებების გამოყენების სტატისტიკა;
- დაკავებულთა და პატიმართა მდგომარეობა საპატიმრო დაწესებულებებში;

<sup>1</sup> იხ. <http://www.supremecourt.ge/statistics/>

- მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც გავლენას ახდენს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესზე და შესაბამისად, სტატისტიკაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქმეთა გამოძიების და პროკურატურის მიერ სასამართლოში გაგზავნილი საქმეების დასაბუთებულობის შესწავლა. გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკის გაანალიზებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეფასებას, რამდენად შედის პროკურატურა სასამართლოში დასაბუთებული შუამდგომლობებით და საკმარისი მტკიცებულებებით.

იზოლირებულად, მხოლოდ გამამართლებელი განაჩენების რიცხვზე დაყრდნობით სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება, მართლმსაჯულების ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას და ქმნის დაინტერესების რისკს, რომ სტატისტიკით მანიპულირება მოხდეს. დღეს, როდესაც სასამართლოს მიმართ მთავარი კრიტიკა უკავშირდება სისტემის შიგნით არსებულ გავლენიან ჯგუფებს, კორუფციულ რისკებსა და შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებს, ცხადია სტატისტიკურ მონაცემებს კიდევ უფრო მეტად სჭირდება გადამოწმება. შერჩევითი მართლმსაჯულების პირობებში, სტატისტიკური მონაცემები განსაკუთრებით არასანდო ხდება, ვინაიდან სურათი არ არის ერთგვაროვანი, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი არათანმიმდევრული და არასტაბილურია, რაც შესაბამისად აისახება სტატისტიკურ მაჩვენებლებზეც.

### **1. სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია**

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა როგორ აწარმოებს სტატისტიკას თავად სასამართლო, როგორ ითვლის გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების რიცხვს და სხვა მონაცემებს. დღეს, სასამართლოს სტატისტიკურ მონაცემებს უზენაესი სასამართლო ამუშავებს. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით,<sup>2</sup> სასამართლო სისხლის სამართლის საქმეების შესახებ ინფორმაციას იღებს საქალაქო/რაიონული სასამართლოებიდან მიწოდებული ელექტრონული ფაილებიდან. აღნიშნული ფაილი მოიცავს მონაცემებს თითოეულ სასამართლოში შესული და განხილული საქმეების, ასევე საქმეში მონაწილე პირების შესახებ.

ყველა სასამართლოდან მიღებული ფაილის გაერთიანების შედეგად უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის თანამშრომლები სპეციალური პროგრამის დახმარებით ითვლიან ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშების 5 ძირითად ფორმას:

- მონაცემები საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობის შესახებ;
- მონაცემები მსჯავრდებულთა რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებების შესახებ;
- მონაცემები მსჯავრდებულთა შემადგენლობის შესახებ;
- მონაცემები არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შესახებ;

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი №39-კ.

მონაცემები საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განხილული საქმეების შესახებ.

უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით<sup>3</sup> სასამართლო სტატისტიკაში საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები თითოეული ინსტანციის მიხედვით ცალ-ცალე აღირიცხება. პირველი ინსტანციით მიღებული განაჩენების არასტაბილურობის პირობებში, მნიშვნელოვანია სასამართლო იმგვარად ამუშავებდეს და აქვეყნებდეს სტატისტიკას, რომ იდენტიფიცირებადი იყოს:

- გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა ინსტანციების მიხედვით;
- იმ გამართლებულ პირთა საერთო რაოდენობა, რომელთა გამამართლებელი განაჩენებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში ძალაში დარჩა;

ნარკოტიკული დანაშაულების შესახებ EMC-ის მიერ მომზადებულმა ანგარიშმა<sup>4</sup> აჩვენა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენები, ბუნდოვან გარემოებებზე დაყრდნობით, გამამტყუნებელი განაჩენით იცვლებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მსგავსი საქმეების სიმრავლის და განაჩენთა არასტაბილურობის შემთხვევაში, შესაძლებელია რომ დაჯამებული სტატისტიკური მონაცემის გამოქვეყნება შეცდომაში შემყვანი იქნება.

თუკი პირველი ინსტანციით გამართლებული პირის მიმართ საბოლოოდ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ეს პირი გამართლებულების საერთო სტატისტიკაში არ უნდა აღირიცხებოდეს. ცხადია, მსგავსი საქმეები ინსტანციების მიხედვით გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელში გათვალისწინებული იქნება.

სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის გამოთხოვის საპასუხოდ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ EMC-ს მხოლოდ ზემოხსენებული ინფორმაცია მიაწოდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სტატისტიკის წარმოებას საფუძვლად უდევს მხოლოდ თითოეული სასამართლოდან მიღებული მონაცემების გაერთიანება. შესაბამისად, სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების პარალელურად მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავდეს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.


## **2. ბოლო წლების ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები**

სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში, გამართლებული პირების რაოდენობა ასე გამოიყურება:

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო წერილი №51-კ.


<sup>4</sup> EMC, ნარკოტიკული დანაშაულის განხილვა სასამართლოში-2017 წლის ტენდენციები, [ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/narkodanashaulis-gankhilva-sasamartloshi>; წვდომის თარიღი 23.04.2018]

## 2010-2017 წლებში გამართლებული პირების რაოდენობა



სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე ნათელია, რომ ბოლო წლებში სასამართლოში განხილული საქმეების რაოდენობაში საგრძნობლად დიდი სხვაობა არ შეინიშნება:


## 2010-2017 წლებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დინამიკა



### 3. 2017 წელს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენები

EMC-იმ თოთოეული სასამართლოდან გამოითხოვა 2017 წლის გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენები. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე დანაშაული, რომელთა შესახებაც სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია.


შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელს ყველაზე მეტი გამამართლებელი განაჩენი ოჯახში ძალადობის საქმეებში დადგა. 2017 წელს გამართლებული პირების 17% სწორედ ოჯახში ძალადობის<sup>5</sup> დანაშაულში გამართლებული პირია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია წინა წლებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებთან შედარებით:



<sup>5</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლი: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. იგივე ქმედება ჩადენილი ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ) ჯგუფურად; ე) არაერთგზის;

## 2015-2017 წლებში, ოჯახში ძალადობის დანაშაულში გამართლებული პირები

■ გამართლებული პირები



მაგალითისთვის, 2017 წელს:

- ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი 4 გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენიდან 2 ოჯახში ძალადობის საქმეზეა მიღებული;
- სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ მოწოდებული 9 განაჩენიდან 6 ოჯახში ძალადობის საქმეა;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 4 განაჩენიდან სამი ოჯახში ძალადობის საქმეა;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს 3 გამამართლებელი განაჩენიდან 2 ოჯახში ძალადობის საქმეა.

ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიღებული გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების ანალიზმა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია გამოავლინა:

**დაზარალებულის, ოჯახის წევრის, ბრალდებულის ახლო ნათესავის უარი სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემაზე** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად,<sup>6</sup> მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. შესწავლილ საქმეებში, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ უფლებით სარგებლობს დაზარალებული და პროცესზე უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. ზოგიერთ საქმეში დაზარალებულთან ერთად ამ უფლებით სარგებლობენ ბრალდებულის სხვა ახლო ნათესავებიც;

<sup>6</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 49.

**ინციდენტის უშუალო თვითმხილველების არარსებობა, მოწმეთა ირიბი ჩვენებები** - რამდენიმე საქმეში მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაიკითხნენ სხვა მოწმეები, რომლებმაც მართალია დაადასტურეს, რომ დაზარალებულს გარკვეული დაზიანებები აღენიშნებოდა, თუმცა ისინი არ შესწრებიან თავად ამ დაზიანებების მიღების ფაქტს. სასამართლო განმარტავს, რომ მოწმეები არ არიან ფაქტის უშუალო მომსწრეები, მათ მიერ მიცემული ჩვენებები პირის ბრალდების დადგენილებაში მითითებული გარემოებების, ძალადობის განმახორციელებელი და დაზიანებების მიმყენებელი პირის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით წარმოადგენს ირიბ ჩვენებებს. ამასთან, ირიბი ჩვენებები არ დასტურდება ისეთი მტკიცებულებებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება;

**სამედიცინო ექსპერტიზა** - მიუხედავად იმისა, რომ არაერთ გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ მტკიცებულებად სამედიცინო ექსპერტის დასკვნა განიხილება, ის არ მიიჩნევა საკმარის მტკიცებულებად, რადგან დასკვნით დგინდება მხოლოდ დაზიანებების არსებობა, მათი სიმძიმე და რაოდენობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ექსპერტის დასკვნით იმ ფაქტის დადგენა თუ ვინ, როდის და რა ვითარებაში მიაყენა დაზარალებულს დაზიანებები შეუძლებელია.